„რეკომენდებულია
აჭარის ა.რ
ტურიზმისა და კურორტების
დეპარტამენტის მიერ“

ტურიზმის განვითარების სკოლა

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა 2017 წლის დასაწყისიდან მუშაობა დაიწყო ახალ პროექტზე „ტურიზმის განვითარების სკოლა“, რომლის ძირითადი მიზანია მაღალმთიან აჭარაში არსებული განთავსებისა და კვების ობიექტების წარმომადგენლებს მიაწოდოს სფეროსთან დაკავშირებული საჭირო ინფორმაცია და ცოდნა.

2016 წელი ძალიან საინტერესო ტენდენციით დასრულდა, სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მაღალმთიან აჭარაში 107%-ით გაზრდილია ვიზიტორთა რაოდენობა. საგრძნობლად მოიმატა ტურისტული ობიექტების რიცხვმაც. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით მაღალმთიანი აჭარის ტერიტორიაზე ამჟამად 200-მდე განთავსების და 100-მდე კვების ობიექტი ფიქსირდება.

აჭარის მაღალმთიანეთს უდიდესი ტურისტული პოტენციალი გააჩნია. უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობა, ბიომრავალფეროვნება, გამორჩეული სამზარეულო, ეკოლოგიურად სუფთა გარემო და განსაკუთრებული სტუმართმასპინძლობა ყველა პირობას ქმნის, რომ აჭარის მაღალმთიანეთი უცხოელი ვიზიტორებისათვის საინტერესო აღმოჩენა გახდეს.

თუმცა, სწორი განვითარებისათვის, რაც რესურსების სწორად გამოყენებას გულისხმობს, აღნიშნული კვებისა და განთავსების ობიექტების მესვეურებს სჭირდებათ საჭირო ცოდნისა და ინფორმაციის მიწოდება. სწორედ ამ საჭიროებიდან გამომდინარე შეიქმნა პროექტი „ტურიზმის

განვითარების სკოლა“, რომელიც დაარსების დღიდანვე აქტიურად ჩაერთო სასწავლო პროცესებში.

თავდაპირველად მოხდა იმ საჭიროებების განსაზღვრა, რაც პირველი ეტაპისათვის აუცილებელი იყო მაღალმთიანი აჭარის ტურისტული ობიექტების წარმომადგენლებისათვის. გამოიკვეთა, რომ დასაწყისისთვის სექტორისათვის გაგვეცნო განთავსების და კვების ობიექტების შესახებ არსებული ევროპული სტანდარტები, მიგვეწოდებინა მათთვის ის საბაზისო ინფორმაცია, რომლის გათვალისწინებაც დარგის განვითარებას და ზოგადად მათ ბიზნესსაქმიანობას მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს.

საჭიროებების მიხედვით შინაარსობრივად გაიწერა სასწავლო მოდულები, რომლებიც სხვადასხვა თემატიკის მიხედვით დაიტვირთა. საბოლოოდ კი მივიღეთ 16 საათიანი ტრენინგ-კურსი შემდეგი თემატიკით:

- განთავსების ობიექტების სტანდარტები;
- დასუფთავების სამსახურის მუშაობის სპეციფიკა;
- კვების ორგანიზება;
- ონლაინ რესურსები და სოციალური მედია;

● ტურიზმის სფეროსთან დაკავშირებული რეგულაციები;

● უცხოელ ტურისტებთან მუშაობის სპეციფიკა.

აღნიშნული თემატიკის მიხედვით ტრენინგები ჩატარდა აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში:

● ქობულეთის მუნიციპალიტეტში ტრენინგები ჩაუტარდათ მტირალას ნაკრძალთან მდებარე სოფლების - სახალვაშოს, შუამთის და ჩაქვისთავის განთავსების ობიექტების წარმომადგენლებს.

● ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მაჭახლის ხეობაში არსებული განთავსების ობიექტების წარმომადგენლებს.

● ქედის მუნიციპალიტეტში არსებული განთავსების და კვების ობიექტების წარმომადგენლებს.

● შუახევის მუნიციპალიტეტში არსებულ განთავსების და კვების ობიექტის წარმომადგენლებს, მათ შორის სოფელ ნიგაზეულში მცხოვრებ იმ პირებს, რომლებსაც საოჯახო სასტუმრო სახლები აქვთ.

● ხულოს მუნიციპალიტეტში არსებულ კვების და განთავსების ობიექტების წარმომადგენლებს, მათ შორის სოფელ ხიხაძირსა და კურორტ გოდერძიზე,ასევე კორორტის მიმდებარე სოფლებში არსებულ საოჯახო სახლების მფლობელებს.

ტრენინგების შედეგად ჯამში გადამზადდა 200 ადამიანი. მსგავსი მასშტაბის სატრენინგო აქტივობა პირველია აჭარის მაღალმთიანი რეგიონის ტურისტული ობიექტების წარმომადგენლებისათვის, რომელიც მომავალში აუცილებლად გაგრძელდება და შინაარსობრივად უფრო მრავალმხრივ დაიტვირთება. შთამბეჭდავი ციფრის მიუხედავად, შესაძლოა ტრენინგების მიღმა ისევ დარჩა რამდენიმე ადამიანი, რომელსაც სურდა ჩვენს მიერ შეთავაზებული მოკლე კურსის გავლა. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ტრენინგების ჩატარება სამომავლოდაც იგეგმება და ყველა დაინტერესებული პირი ჩართული იქნება სასწავლო პროცესში.

აღსანიშნავია, რომ სასტუმრო სახლებისა და კვების ობიექტების წარმომადგენლები ინტერესით არიან ჩაბმულნი სატრენინგო პროცესებში, შერჩეული თემატიკა საინტერესოა მათთვის, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული გამოყენების კუთხით.

განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია ონლაინ რესურსებისა და სოციალური მედიის თემატიკამ, რომელიც ეხებოდა თანამედროვე ტექნოლოგიების შესწავლას, დანერგვასა და მათი მეშვეობით ინტერნეტ სივრცეში ოპერირებას. საკითხისადმი დაინტერესება იმ გარემოებით აიხსნება, რომ აჭარის მაღმალმთიანეთში არსებულ რამდენიმე სასტუმროს უკვე გააჩნიათ საკუთარი საოჯახო სახლის Facebook გვერდი, ასევე დარეგისტრირებულნი არიან დაჯავშნის საერთაშორისო პორტალებზე და მათი მეშვეობით უკვე მიიღეს ჯავშნები, გაზარდეს საკუთარი ობიექტის ცნობადობა და კარგად აუღეს ალღო ინტერნეტ სივრცეში მათი ბიზნესის პოზიციონირებას. მართალია, ჯერ მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელი მაგალითები გაგვაჩნია, მაგრამ ფაქტია, რომ უკვე გაჩნდა წარმატებული საქმიანობის მაგალითები, რაც სტიმულის მიმცემი და გადამდებია სხვა დანარჩენი ობიექტებისათვის.

გიდების ტრენინგი

მიმდინარე წლის აპრილი-მაისის განმავლობაში „ტურიზმის განვითარების სკოლის“ ფარგლებში ტრენინგ-კურსი ჩატარდა ტურისტული გიდის სპეციალობის მიმართულებით. ამჯერად შეირჩა პრაქტიკოსი და გამოცდილი გიდები და მათი ტრენინგები შემდეგი თემატიკით იყო დატვირთული:

- აჭარისა და ბათუმის ისტორია;
- ბათუმის ძველი და თანამედროვე არქიტექტურა;
- აჭარის ეთნოგრაფია;
- ტურისტული მარშრუტის შედგენა;
- ტურისტული ჯგუფის ფსიქოლოგია და მართვა;
- ბათუმის საფეხმავლო მარშრუტის პრაქტიკული კურსი.

აღნიშნული კურსი მოიცავდა 20 საათს. გიდების ტრენინგები წარმატებით ჩატარდა. ქალაქის გიდებმა კიდევ უფრო გაიღრმავეს ცოდნა და მიიღეს მათთვის საჭირო ინფორმაცია.

რაც შეეხება მაღალმთიანი აჭარის მიმართულებას და აღნიშნულ თემატიკაზე მომუშავე გიდებს, მათი გადამზადება განხორციელდა ტურისტული პროდუქტის განვითარების სააგენტოს მეშვეობით. ტრენინგებისათვის სპეციალურად იქნა შერჩეული ის მიმართულებები, რომლებიც განსაკუთრებით აქტუალურია ტურისტებში და რომელზედაც მოთხოვნა ყოველწლიურად იზრდება.

მიმართულებები გადანაწილდა შემდეგნაირად:

- მაჭახელას ტურისტული მარშრუტი, მაჭახელას დაცული ტერიტორიის ჩათვლით;
- ქედის ღვინის მარშრუტი, მერისის მარშრუტის ჩათვლით;
- მაღალმთიანი აჭარის მარშრუტები: ა) ჩირუხის ტურისტული მარშრუტი; ბ) სხალთა-ხიხანის მარშრუტი; გ) ხულო-დანისპარაული-გოდერძი-მწვანე ტბის მარშრუტი;
- დაცული ტერიტორიებისა და ფრინველებზე დაკვირვების მარშრუტები: ა) მტირალას ეროვნული პარკი; ბ) კინტრიშის დაცული ტერიტორიები; გ) ისპანის ტორფნარები და ფრინველებზე დაკვირვების სოფლები: სახალვაშო, შუამთა და დაბა ჩაქვი.

სპეციფიკიდან გამომდინარე ტრენინგების მინიმალური ხანგრძლივობა 6 დღეს შეადგენდა, რომელიც გადანაწილდა ორი კვირაზე, რამაც გიდებს საშუალებას მისცა მათ მიერ შერჩეული მარშრუტების შესახებ საჭირო ლიტერატურა დაემუშავებიათ.

პრაქტიკული მეცადინეობებისათვის თითოეული მარშრუტის დეტალური პროგრამა წინასწარ მომზადდა, პროგრამა მოიცავს მარშრუტზე არსებული ყველა ძირითადი ტურისტული ობიექტის მონახულებას: მუზეუმები, საოჯახო სასტუმრო სახლები, ციხეები და ა. შ.

აღნიშნული ტრენინგისთვის შეირჩა 60 მონაწილე, რომელიც 4 ჯგუფად დაიყო.

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი აპირებს ტრენინგების მეორე ეტაპად აჭარაში მოქმედ გიდებს შესთავაზოს პროექტში „რეკომენდებულია ტურიზმის დეპარტამენტის მიერ“ გიდებისათვის ჩართვა, რაც გულისხმობს სამი მიმართულებით:

ქალაქის, მაღალმთიანი აჭარის და დაცული ტერიტორიის გიდებისათვის ტესტირების და პრაქტიკული გამოცდის ეტაპს. წარმატებულ გიდებს კი მიენიჭებათ რეკომენდებული გიდის სტატუსი.

ტრენინგების დასრულების შემდეგ რეგიონს სამივე მიმართულებით უკვე 75 გადამზადებული გიდი ყავს, რაც საწყისი ეტაპისათვის კარგი მაჩვენებელია.

აჭარის რეგიონისათვის გიდების საკითხი გარკვეულ გამოწვევებთან არის დაკავშირებული, რაც სწორი მიმართულებით ეტაპობრივ და მიზანმიმართულ ქმედებებზე უნდა იყოს დაფუძნებული, თუმცა მხოლოდ ტურიზმის დეპარტამენტი აღნიშნულ საკითხს დამოუკიდებლად ვერ მოაგვარებს. საკითხის ეფექტურად გადაჭრისათვის აუცილებელია პროცესში ჩართული იყოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და სხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც აღნიშნულ თემასთან უშუალო კავშირში არიან.

ტურისტული პროდუქტების განვითარება მაღალმთიან აჭარაში

აჭარის რეგიონი თანდათან ხდება არა მხოლოდ ზაფხულის სეზონზე ორიენტირებული დესტინაცია, არამედ ოთხივე სეზონისათვის აქტუალური და მომხიბლველი ტურისტული ადგილი. ამბიციური გეგმის მისაღწევად აუცილებელია ყველა ის ტურისტული პოტენციალი იქნას სწორად ათვისებული, რომლითაც მდიდარია აჭარის რეგიონი. ამისათვის კი პირველ რიგში საზღვაო ზოლს მიღმა არსებული ტურისტული პოტენციალის ათვისება, განვითარება-პოპულარიზაციაა საჭირო, რომელსაც აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტთან არსებული ტურისტული პროდუქტის განვითარების სააგენტო ახორციელებს.

2017 წლისათვის სააგენტოს დაგეგმილი აქვს ახალი ეკო და სოფლის ტურისტული პროდუქტების განვითარება-მარკირება. პროცესი წლების წინ დაიწყო და ის აქტიურად გრძელდება. 2017 წლამდე შეიქმნა 17 ტურისტული მარშრუტი, რომლის მარკირება ეტაპობრივად მიმდინარეობს, რაც გულისხმობს საინფორმაციო დაფების და ნიშნულე-

ბის დამონტაჟებას აღნიშნულ მარშრუტებზე, ასევე თითოეული ტურისტული მარშრუტის შესახებ დაბეჭდილია სპეციალური რუკები, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც რეგიონში განთავსებულ ტურისტულ ცენტრებში, ასევე შესაძლებელია სპეციალური ფორმატით მათი ჩამოტვირთვა სმარტფონებში, რაც საკმაოდ კომფორტულია.

აღსანიშნავია, რომ თითოეული მარშრუტი შედგენილია იმ პრინციპით, რომ მათში აუცილებლად მოხვდეს მარშრუტზე არსებული საოჯახო სასტუმრო სახლი და კვების ობიექტი, რაც მარშრუტით მოსარგებლე ტურისტს აძლევს საშუალებას აჭარის ღირსშესანიშნაობების დათვალიერებასთან ერთად ჰქონდეს ღამისთევის და ადგილზე საკვებით მომსახურების შესაძლებლობა.

ტურისტული პროდუქტის განვითარების სააგენტოს ასევე დაგეგმილი აქვს ორგანიზება გაუწიოს ორ მნიშვნელოვან ფესტივალს, რომელიც მთლიანად სოფლად არსებული ტურისტული პროდუქტის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად. ეს გახლავთ „გადამფრენ ფრინველებზე დაკვირვების“ და სოფლის ტურიზმის ფესტივალი „განდაგანა“.

„გადამფრენ ფრინველებზე დაკვირვების“ ფესტივალი

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მხარდაჭერით 2017 წელს უკვე მეშვიდედ იმართება „გადამფრენ ფრინველებზე დაკვირვების“ საერთაშორისო ფესტივალი, რომელიც თავისი შინაარსით ძალიან საინტერესოა. ფესტივალის ფარგლებში უცხოელი და ქართველი მეცნიერების მონაწილეობით იმართება თემატური კონფერენციები, ეწყობა ექსკურსიები ფრინველებზე დაკვირვების ადგილებზე.

ეკოტურიზმის ერთ-ერთ პოპულარულ მიმართულებად ქცეული ფრინველებზე დაკვირვების ტურიზმი რეგიონში უდიდეს პოტენციალს ფლობს.

აღსანიშნავია, რომ აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მხარდაჭერით გასულ წლებში მოხდა შუამთის სათვალთვალო პლატფორმისა და თავშესაფარის ინფრასტრუქტურის მოწყობა. ტურიზმის დეპარტამენტი ასევე ხელს უწყობს ადგილობრივი საოჯახო ტიპის სასტუმროების განვითარებას ტრენინგების ჩატარების გზით.

ინფორმაციის გავრცელება ხდება ბროშურებისა და ფლაერების გზით და თემატურ ვებ-გვერდებსა და სოციალურ მედიაში შესაბამისი ინფორმაციის განთავსებით, რაც ხელს უწყობს ტურიზმის ამ მიმართულების პოპულარიზაციას, როგორც შიდა, ისე უცხოურ ტურისტულ ბაზრებზე.

აღნიშნული ფესტივალის სამეცნიერო ნაწილი საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ცნობიერების ამაღლების კუთხით, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, ორგანიზაცია „საბუკოს“ მიერ ყოველწლიურად ტარდება სხვადასხვა შემეცნებითი აქციები, რომელიც აუცილებელი კომპონენტია „ფრინველებზე დაკვირვების“ ფესტივალის სრულყოფილად ჩატარებისთვის.

მსგავსი ღონისძიებები განსაკუთრებით ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის, რომლებსაც სწორად უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია თუ

რა მნიშვნელობის ადგილას ცხოვრობენ და როგორ გაუფრთხილდნენ ფრინველებს და შეინარჩუნონ ის გარემო, რითაც აღნიშნული ტერიტორიები მიმზიდველია გადამფრენი ფრინველებისათვის.

ჩვენ მცირე კომენტარის გაკეთება ვთხოვეთ ორგანიზაცია „საბუკოს“ დამფუძნებელსა და ხელმძღვანელს ალექსანდრე რუხაიას, რომელიც გასულ წელს ბრიტანეთის სამეფო ოჯახის წევრის პრინცესა ანას მიერ უილტის ფონდის ჯილდოთი 35 000 ფუნტით დაჯილდოვდა, რომელიც ბუნების დაცვითი პროექტის განხორციელებას მოხმარდება.

აღნიშნული ჯილდო მთელი საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რადგან ის კარგი საშუალება გახლდათ საქართველოში გადამფრენი მტაცებელი ფრინველებისადმი საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების მიპყრობისა და ტურიზმის განვითარების კუთხით.

„აჭარის მდიდარ ბიომრავალფეროვნებას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მსოფლიოში.

საქართველოში ფასდაუდებლად მდიდარი ბიომრავალფეროვნების არსებობა, დიდწილად განპირობებულია მისი უნიკალური გეოგრაფი-

ული ადგილმდებარეობით. მათ შორის, აჭარის რეგიონი და კერძოდ, აჭარის შავიზღვისპირეთი, გამორჩეულია მიგრირებად ფრინველთა უზარმაზარი ნაკადებით, რასაც ხელს უწყობს, ერთის მხრივ, მცირე კავკასიონის მთათა სისტემის განლაგება, ხოლო მეორეს მხრივ, კოლხეთის დაბლობი და შავი ზღვის განაპირა ზოლის რკალი.

ბათუმის ფრინველთა სამიგრაციო დერეფანი, ან როგორც მას საერთაშორისოდ მოიხსენიებენ -„ბათუმის სამიგრაციო ძაბრი", მისი სიდიდითა და მნიშვნელობით, მსოფლიოში რიგით მეორე ადგილზეა და წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკვანძო წერტილს, სამხრეთ პალეარქტიკის სამიგრაციო ზოლში. ამავე ტერიტორიას მიეკუთვნება, მსოფლიოში კარგად ნაცნობი ჭოროხის დელტა.

ბათუმის სამიგრაციო ძაბრი და ჭოროხის დელტა, IUCN-ისა და BirdLife International-ის მიერ, შეფასებულია და აღიარებული, როგორც ფრინველთა გავრცელებისათვის მნიშვნელოვანი ტერიტორიები, ანუ IBA - Important Bird Are: (Batumi IBA - GE014 და Chorokhi Delta IBA - GE032).

აღნიშნული ძაბრის ცენტრალური ყელის სიფართე არ აღემატება 10 კილომეტრს და მას სამიგრაციო პერიოდში 2,000,000-მდე სხვადასხვა სახეობის ფრინველი გადაიფრენს, მათ შორის 37 სახეობის დიდი ზომის მტაცებელი - კრაზანაჭამია (ანუ ირაო), ძერა, ქორი, ფასკუნჯი, სვავი, ბექობის არწივი, მთის არწივი, ველის არწივი, მიმინო, გავაზი და სხვა. ხოლო ჭოროხის დელტა, ამ ჯაჭვურ პროცესში, დროებით მოსვენებისა და საკვებით გამასპინძლებისათვის უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს.

ფრინველთა მიგრაციის ნახვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, გაზაფხულსა და შემოდგომაზე - აპრილის მეორე კვირიდან ივნისის ბოლომდე და აგვისტოს მეორე კვირიდან ოქტომბრის ბოლომდე.

ეს განმაცვიფრებელი და მასშტაბური ფენომენი, აღაფრთოვანებს უამრავ ადამიანს მთელ მსოფლიოში. ასობით უცხოელი ეკო-ტურისტი, ფრინველებზე დამკვირვებელი თუ ნატურალისტი სტუმრობს აჭარას ყოველწლიურად და საუკეთესო შთაბეჭდილებებით ბრუნდება სახლში. ამგვარად, აჭარის რეგიონს უდავოდ დიდი პოტენციალი გააჩნია ეკოტურიზმისა და კერძოდ, ფრინველებზე დაკვირვების (birdwatching) ტურიზმის განვითარების კუთხით. ამ შემთხვევაში, სოფლად მაცხოვრებელი ადგილობრივი მოსახლეობა უმთავრესი ბენეფიციარია, რომელიც ღირებულ სარგებელს მოიპოვებს და აუმჯობესებს საკუთარი ოჯახისა და თემის სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობას, ხოლო რეგიონში კიდევ ერთი ტურისტული პროდუქტი ვითარდება.“

გაუფრთხილდით ველურ ბუნებას და აღმოაჩინეთ სხვა აჭარა.

ალექსანდრე რუხაია
საბუკო (საზოგადოება ბუნების კონსერვაციისათვის)

სოფლის ტურიზმის განვითარება

აჭარაში სოფლის ტურიზმი განვითარება ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ბოლო წლების განმავლობაში, აღნიშნული მიმართულებით, სახელმწიფო სხვადასხვა აქტივობებს ახორციელებს, თუმცა მხოლოდ სახელმწიფოს ძალისხმევა ვერ გამოიღებს სასურველ შედეგს თუ ადგილზე არ არიან მოტივირებული ადამიანები, რომლებსაც სურთ და შეუძლიათ დარგის განვითარების ხელშეწყობა.

მაღალმთიანი აჭარის მოსახლეობა სოფლის ტურიზმის განვითარებაში აქტიურად არის ჩაბმული. მით უფრო, როცა მუნიციპალიტეტებში უკვე გაჩნდა წარმატებული მაგალითები, რაც სოფლის ტურიზმის განვითარებისათვის მუხტის მიმცემ ფაქტორად შეიძლება განვიხილოთ.

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიზანია მხარში დაუდგეს, ხელი შუწყოს და წაახალისოს ყველა ის წარმატებული მაგალითი თუ პიროვნება, რომელიც თავისი საქმიანობით არა მხოლოდ საკუთარ ტურისტულ მეურნეობას ავითარებს, არამედ, საბოლოო ჯამში, რეგიონისთვის იღწვის და სოფლის ტურიზმის დარგს ეხმარება წარმატების მიღწევაში.

ჩვენი საინფორმაციო ბროშურის ფარგლებში გადავწყვიტეთ ეტაპობრივად გაგაცნოთ ის ადამიანები, რომლებმაც სოფლის ტურიზმის მიმართულებით პირველი, მაგრამ რთული ეტაპები გადალახეს და ახლა უკვე სერვისების გაუმჯობესების და დახვეწის მიმართულებით მუშაობენ.

აჭარის რეგიონში ერთ-ერთი პირველი, ვინც საკუთარი სახლის მაგალითზე, სოფლის ტურიზმში ძალების მოსინჯვა გადაწყვიტა ბატონი ზებურ ბოლქვაძეა, რომელიც ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ გობრონეთში ცხოვრობს, სადაც თითქმის 10 წელია ტურისტულ მეურნეობას მართავს და მისი სტუმარმასპინძლობის სახელი საქართველოს ფარგლებს ცდება.

სოფლის ტურიზმის შესახებ ბატონმა ზებურმა 2005 წელს მონტენეგროში ყოფნისას შეიტყო, სადაც კონფერენციას, როგორც მეფუტკრე ისე

ესწრებოდა. ტურიზმის ამ მიმართულებით უმალვე დაინტერესდა და გადაწყვიტა საკუთარ სოფელში ეცადა ტურისტული მეურნეობის გამართვა. უკან დაბრუნებულმა საკუთარ სახლში რამდენიმე ოთახი სტუმრებისათვის მოაწყო, შეიმუშავა მისივე სოფლის ირგვლივ არსებული ღირშესანიშნაობების მიხედვით უახლოესი მარშრუტები და 2008 წელს პირველი ტურისტებიც მიიღო.

გობრონეთის სოფლის მშვიდმა ატმოსფერომ, ულამაზესმა ბუნებამ, სუფთა ჰაერმა, მინარალური წყლების მრავალსახეობამ, ჩანჩქერების სიმრავლემ, ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტებმა და რა თქმა უნდა, ქედის უნიკალურმა ღვინომ განაპირობა ადგილობრივი და უცხოელი ტურისტების მოზიდვა აჭარის ამ ძირძველ და გამორჩეულ რეგიონში.

ტურისტული მეურნეობის გამართვაში ბატონ ზებურს თავდაპირველად „ამერიკის სახელწიფო სამთავრობო“ და USAID-ის გრანტი დაეხმარა, რომლის მეშვეობითაც ტურისტულ მეურნეობაში სათანადოდ მოაწყო სამზარეულო და სველი წერტილები. 2015 წელს კი სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში მიღებული დაფინანსებიდან შეიძინა ინვენტარი და სათანადო ავეჯი. სასტუმრო სახლი „ზებო“ სტუმრებს დამატებით „გურმანტურს“ და კულინარიულ მასტერ-კლასსაც სთავაზობს. ახალ სამზარეულოში სტუმრებს შეუძლიათ შეისწავლონ და თავად დაამზადონ ქედის და ზოგადად აჭარის რეგიონისათვის დამახასიათებელი უგემრიელესი კერძები.

სასტუმრო სახლის „ზებოს“ სტუმრებს შესაძლებლობა აქვთ ჩაერთონ სოფლის სხვადასხვა აქტივობებში: იმუშაონ ბოსტანში, მოუარონ ფუტკრის სკას და მონაწილეობა მიიღონ თაფლის დაფასოებაში, დაზგაზე დაჭრან თუთუნი, გამოხადონ არაყი, ამოიყვანონ ყველი, სეზონზე კი დაკრიფონ მარწყვი და სხვ.

ბატონ ზებურს მსოფლიოს შორეული ქვეყნებიდანაც სტუმრობენ, განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყვნენ შორეული აღმოსავლეთიდან - იაპონიიდან ჩამოსული ტურისტები, რომლებიც აღტაცებას ვერ მალავდნენ გობრონეთის ულამაზესი ბუნებით და გამორჩეული სტუმარმასპინძლობით.

„ზებოს“ ტურისტები ძირითადად გერმანიიდან, პოლონეთიდან და უკრაინიდან არიან. მათ შორის ისეთებიც, რომლებიც უკვე რამდენჯერმე არიან ნამყოფი სასტუმრო სახლ „ზებოში“ და მათთვის სასიხარულოა, რომ წლიდან წლამდე ადგილზე გაუმჯობესებული მომსახურება და დასვენებისთვის უკეთესად კეთილმოწყობილი გარემო ხვდებათ.

სამომავლოდ ბატონ ზებურს დაგეგმილი აქვს ტურისტული მეურნეობის გაფართოება და ეზოში ეთნო კუთხის მოწყობა.

აღსანიშნავია, რომ მისმა შემართებამ თანასოფლელებსაც მისცა ბიძგი თავადაც მოეწყოთ საოჯახო სასტუმრო სახლები. ამჟამად იქვე მეზობლად ფუნქციონირებს რამდენიმე სასტუმრო საოჯახო სახლი, რომლებიც ისეთივე მონდომებით არიან ჩართულნი აღნიშნულ საქმიანობაში, როგორც თავის დროზე ბატონი ზებური.



პატარა სოფლის გობრონეთის მაგალითზე შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ მსგავსი მაგალითების არსებობა მნიშვნელოვანწილად განაპირობებს სოფლის ტურიზმის განვითარებას. აღნიშნული მიმართულებით ბოლო დროინდელი დადებითი ძვრები კი აუცილებლად შექმნის სოფლის ტურიზმის განვითარებისთვის სასურველ გარემოს.

კონტაქტი:

აჭარის ა.რ ტურიზმისა და
კურორტების დეპარმტანეტი
მისამართი: ფარნავაზ მეფის ქ. 84/86,
ბათუმი, საქართველო
მობილური: 577 90 90 52
ტელეფონი: 0 422 27 47 02
ელ-ფოსტა: info@recommend.ge
ვებ-გვერდი: www.recommend.ge

2017 წელი II კვარტალი